

ლია ბაკურაძე

სიმრავლის გამონათვის ზომიერთი საკითხისათვის
ქართულში

რაოდენობის კატეგორია საგნებისა და მათი ნაწილების გარეგნულ, ფორ-
მალურ ურთიერთმიმართებას გამოხატავს.: თვისებას, კავშირს, სიდიდეს —
ზომას, წონას, რიცხვს, ასევე ამა თუ იმ თვისების ხარისხს.

რაოდენობის კატეგორიის საშუალებებს შორის ყურადღებას იქცევს ენაში
გრამატიკული რიცხვისა და სიმრავლის გამოხატვის მრავალფეროვნება და ურ-
თიერთმიმართება.

გრამატიკული რიცხვი საგანთა თვლადობის აღმნიშვნელია და განასხვა-
ვებს ერთსა და ერთზე მეტ საგნებს ერთმანეთისაგან.

სიმრავლე კი მრავალი ელემენტისაგან შემდგარი ერთეულია, შინაარსით
მრავლისშემცველი, აღქმული როგორც ერთი მთელი, რადგან სიმრავლის ელე-
მენტებს აქვთ ერთი საერთო მახასიათებელი.

სიმრავლის გამოხატვის შესაძლებლობანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვა-
რადაა რეალიზებული. ქართულ ენაში გვაქვს სიმრავლის გამოხატვის როგორც
ლექსიკური, ისე გრამატიკული საშუალება.

აფიქსაციით მიღებული კრებითი სახელებისთვის ამოსავალია ძირეული
სიტყვა. ქართულში ძირითადად გამოიყენება ორი აფიქსი: **-ობა** და **-ნარი**,
აქედან პირველი აწარმოებს კრებით სახელებს ადამიანთა კლასის
სახელებიდან: **ახალგაზრდობა, ოფიცრობა და ა. შ.** მეორე კი — მცენარეთა
სახელებიდან: **ნაძვნარი, ფიჭვნარი...** (უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი
ამა თუ იმ მცენარით დაფარულ ადგილს უფრო აღნიშნავს).

მათ გვერდით ქართულ ენაში რეალიზებულია სიმრავლის ლექსიკურად
გამოხატვის საშუალებები: **ერი, გუნდი, ჯგუფი და ა.შ.**; ამასთან, თავად ამ
ტიპის სახელებში ხდება დიფერენცირება, მაგ., **გუნდი** შეიძლება აღნიშნავდეს
როგორც ფრინველთა, ისე ადამიანთა გარკვეულ ერთობას, გარკვეულ
სიტუაციაში ის განისაზღვრება კონკრეტული მახასიათებლით: **გუნდი
წერთა, გუნდი მომღერალთა, გუნდი მოცეკვავეთა** და ა.შ.

ასეთი ტიპის სიმრავლის აღმნიშვნელ სახელებს აუცილებლად სჭირდებათ
კონტექსტური ჩარჩო, რომელშიც მათი ლექსიკური მნიშვნელობა იქნება
დაზუსტებული.

მათ გვერდით გვხვდება ისეთი სახელებიც, რომელთაც მხოლოდ ერთი,
კონკრეტული ჯგუფის ერთობის გამოხატვის ფუნქცია აქვს და ის არ არის
დამოკიდებული კონტექსტზე. მაგ. **რემა, არვე** და ა.შ.

აფიქსაციით წარმოქმნილ და ლექსიკური საშუალებით გამოხატულ სიმ-
რავლის ფორმებს განსხვავებული მორფოლოგიური და სინტაქსური ძალა აქვთ:

გრამატიკული საშუალებით მიღებულ სახელებს არ გააჩნიათ:

1. მრავლობითი რიცხვის გრამატიკული წარმოების უნარი;
2. არ ქმნიან სინტაქსურ წყვილს რიცხვით სახელებთან;

ლექსიკურად გამოხატულ სიმრავლის აღმნიშვნელ სახელებს შეუძლიათ:

1. სინტაქსური წყვილის შექმნა რიცხვით სახელებთან: **ხუთი გუნდი.**

2. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მიმართებით ნაცვალსახელს მოითხოვენ მხოლოდით რიცხვში: **ხალხი, რომელიც...**

ეს სხვაობა გვაფიქრებინებს, რომ ეს ორი მოვლენა გრამატიკულად არ შეიძლება იყოს ერთ სიბრტყეზე განხილული, აფიქსაციით მიღებული სიმრავლის აღმნიშვნელი სახელები თითქოს გამეორებაა ენაში ლექსიკურად უკვე თავისთავად არსებული მოდელისა. ისინი კრებითი სახელებია, რადგან მათ გააჩნიათ ერთი ძირეული სიტყვა, რომლიდანაც არიან წარმოქმნილი და რომელსაც მიემართებიან. კონკრეტულ შემთხვევაში **ახალგაზრდობა, ოფიცრობა** ტიპის სახელები აღნიშნავენ ახალგაზრდებისა თუ ოფიცრების ერთად თავმოყრას, კრებითობას.

რაც შეეხება **ბრბო, გუნდი, ტომი, ჯოჯი** ტიპის სახელებს, მათ არ გააჩნიათ ოპოზიცია **ერთი**, ანუ ძირეული სიტყვა. ისინი მხოლოდ და მხოლოდ ლექსიკური საშუალებით გამოხატავენ სიმრავლის ცნებას.

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია დაზუსტდეს ტერმინ **კრებითის** გამოყენების კონკრეტული შემთხვევები.

სიმრავლის ელემენტების საერთო მახასიათებელი შეიძლება იყოს:

1. ერთგვაროვნება (ფარა, რემა) 2. სახეობა (სიმრავლის შემცველი ელემენტების ზოგადი სახელი — ხილი, ბოსტნეული, ავეჯი).

მათ გვერდით შეიძლება გამოვყოთ საზოგადო სახელები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციებში გააზრებულია როგორც ნაწილებისაგან შემდგარი ერთი მთელი; მისი ელემენტები გარკვეული მახასიათებლით არიან შეკრულნი. საზოგადო სახელები: **ქალაქი, ტყე, მინდორი, ციხე** და ა.შ. ხშირად სიმრავლის გამოხატველიცაა. კონკრეტული ფაქტის აღსანიშნად ენა ხშირად აკისრებს მათ სიმრავლის აღნიშვნის ფუნქციას: **„ქალაქი სინარულით მიეგება ჩამოსულ სტუმარს.“ „ტყეს ქარიშხალმა გადაუარა.“** ისინი, ბუნებრივია, თვლად სახელთა კლასს მიეკუთნებიან, თუმცა სიმრავლის გამოხატვის უნარიც გააჩნიათ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ტიპის სახელები წარმოადგენენ გარდამავალ კლასს თვლად და არათვლად სახელებს შორის. რა თქმა უნდა, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს: **„ვაშლს კრეფენ“, „ვაშლი აიღო.“**

ნაშრომში შევეცადეთ გამოგვეკვლია ამ ტიპის სახელების კონტექსტური გამოყენების შესაძლებლობანი და ამისთვის გამოვიყენეთ ინტერნეტში, ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებული ტექსტების კოლექცია — სასულიერო და საერო ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებები, ორიგინალური და ნათარგმნიც, ასევე, ჩვენს ხელთ არსებული დიალექტური ტექსტების მასივი; Word-ის მარტივი საძიებო სისტემის მეშვეობით თვალი მივადევნეთ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ პროცესებს და შევუდარეთ დიალექტური ტექსტების მონაცემებს.

ძველი ქართულისათვის, ძირითადად, დამახასიათებელია სიმრავლის ლექსიკურად გამოხატვის საშუალება, ძალზე იშვიათად, მაგრამ გვხვდება -**ობა** და -**ნარ** სუფიქსით ნაწარმოები კრებითი სახელებიც:

ვიართ და აგვიინდა ქვეყანა უკაცური, ჰევნარი და კლდიანი.

ხილნარნი იყვნეს მშვენიერნი, ეგეთნი, რომელი ყოველი ფერი ხილი მუნ იბოვებოდა. (ამირანდარეჯანი. XII ს.)

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა. (ვეფხისტყაოსანი).

ქარისაგან ჰევნართა შიგან შეექმნების გმა (ვისრამიანი).

ყოველი მუსლიმანობა ბრძანებასა თქვენსა მორჩილებდეს და მზესა თქვენსა ფიცევდეს.

სმიდეს და გაინარებდის, იყო დიდებულთა ჯალაბობა. (ვისრამიანი)

რაოდენობრივ ცვლილებებს გარკვეული საზღვრის შემდეგ თან ახლავს ხარისხობრივი ცვლილებებიც. ამდენად, გრამატიკული რიცხვი თუ სიმრავლე, ბუნებრივია, მოითხოვს საგნებისა თუ მოვლენების ხარისხობრივ განსაზღვრასაც. ენას შეუძლია გამოხატოს თვლადი თუ არათვლადი სახელების სიმრავლის ხარისხიც მისი სისრულის გამოხატვით.

თანამედროვე ქართულსა და მის დიალექტებში სიმრავლის სასრულობის აღმნიშვნელ მსაზღვრელად გამოიყენება სიტყვა **მთელი: მთელი ჯოგი მორეკა; მთელი წიგნი წაიკითხა, მთელი ციხე ზეიმობდა, მთელი მინდორი აუვაგდა.**

ამ მსაზღვრელს ერთნაირად ირგებს როგორც სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები (**ჯოგი, ერი, ბრბო**), ისე ის საზოგადო სახელები, რომლებსაც პირობითად გარდამავალი კლასი ვუწოდეთ რაოდენობის გამოხატველ თვლად და არათვლად სახელებს შორის.

ძველ ქართულში სიმრავლის სასრულობის აღმნიშვნელ მსაზღვრელად გამოიყენებოდა სიტყვა **ყოველი.**

„შუშანიკის წამებაში“ ვკითხულობთ: **განაბრწყინა და განამშუენა ყოველი იგი ციხე სულიერთა მით ქნართა.**

ესე ყოველი ცხოვრებამ, ვითარცა ყვავილი ველთამ, წარმავალ არს და დაუდგომელ...

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში გიორგი მერჩულე წერს: **ღამეა ყოველ წაიყვანა შავშეთს...**

მსგავსი მაგალითები ძვ. ქართულ ტექსტებში მრავლადაა.

მოცემულ მაგალითებში **ყოველის** ფუნქცია სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე ქართულში მსაზღვრელისა **მთელი.**

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის პარალელურად მსაზღვრელს **ყოველი** გააჩნია მრავლობით რიცხვში მდგარი სახელების სიმრავლეში მოქცევის ფუნქცია: **მოვიდეს ყოველნი ყმანი.** იგი დამოუკიდებლადაც გვხვდება: **ყოველი მოვიდეს.**

XII საუკუნის ძეგლებში („ამირანდარეჯანიანი“, „ქილილა და დამანა“) უკვე დასტურდება ყოველის პარალელური ფორმა ყველა, რომელიც იღებს საკუთარ თავზე სიმრავლის გამოხატვის ფუნქციას: **ყველანი გოლიათნი ჭაბუკნი** (ვისრ.) და ამავე დროს დამოუკიდებლად, ნაცვალსახელის ფუნქციითაც

გვევლინება: **წარმავალია ყველაჲ, ყველა შეიტყო.**

ძალზე საყურადღებოდ გვეჩვენა ვისრამიანის ენა **ყველას** გამოყენების საეკლესიო კონტექსტით. უმრავლეს შემთხვევაში **ყველა** ერთგვარი წევრების გამაერთიანებელ სიტყვადაც გვევლინება:

„შენცა სულსა და სჯულსა, ყველას იგნებ.

ჭირი და ღზინი, ყველა სწორად უჩნს.

რომელი ვინც ვის უყვარდეს, ყველა შემცოდე და საკლავი იყოს.

„ვისრამიანში“ ხშირად ერთმანეთს ენაცვლება **ყოველი** და **სრული**

მთელის თანამედროვე მნიშვნელობით:

ქოიასტანისა სრულისა დედოფალი შენ იქნები და ხორასანისა სრულისა დედოფალი შენი ასული ვისი.

რე გურგანი, ქრისტიანი, ჰამიანი და სრული ერაყი მას ებოძა.

ყოველი || **ყველა** ისევე, როგორც თანამედროვე ქართულში **მთელი**, იღებს მრავლობითში მდგარი სახელების სიმრავლეში მოქცევის ფუნქციას: **მოსწყვიდა ყოველი ყმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა** — მათეს სახარება, 3.16.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველ ქართულში **ყოველი** (იშვიათად **სრული**) არათვლადი სიმრავლის სისრულეს გამოხატავს, ხოლო თავად სიმრავლეს ქმნის მორფოლოგიურად გაფორმებული სახელების მრავლობითის ფორმებზე დართვით, ამასთან, გამოიყენება დამოუკიდებლადაც.

ანალოგიური პროცესები დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც. აქ თითქმის, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, **მთელი** ბატონობს მსაზღვრელად.

მთელი ბალკომი სავსეა. — კახური.

თელი ქოყანა რომ შემოიარო... — გუდამაყრული

კახურსა და ფშაურში ძალზე ხშირად გვხვდება მთელის წასაშვებლად

სუ:

სუ მთელი ცხვარ-ძროხა. — ფშაური.

სუ მთელი ლოგინი დაკუწა. — კახური.

სუ მთელი გაწყვიტა ისინი. — კახური.

კახურში ასეთ შემთხვევებში ხშირად ჩაენაცვლება **სუყველა**.

ქართული ენის დიალექტებშიც დასტურდება მრავლობით რიცხვში მდგარი სახელების სიმრავლეში მოქცევის პროცესი:

თელი ექიმები, თელი ნადირები, თელი დევების ხემწიფვი — ქართლური

ფიცულობს თელი ქვეყნებო. — კახური.

თელი ნონიაშვილები ლოცულობდნენ. — კახური.

იმან თელი ხმიანდები დაგვილაგებდაო. — კახური.

სუ წინ წინ გაჩნდება თელ ფარებშია. — ფშაური.

რასაც მთელი ჭარები ჭამდა. — მთიულური.

(შეად. ძვ. ქართული **ყოველი ყმები**).

ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში ეს პროცესი უფრო შორს არის წასული, მსაზღვრელი **მთელი** გასუბსტანტივებულია და თვლად სახელებს ენაცვლება.

აჭარულ დიალექტში ჩვენ დავადასტურეთ შემდეგი ფორმები:

თელი მოდიან; ემდენი დუნია განდენ.

თელგან ასეა.

თელი მართალი ხართ.

თელზე უწინ ის წავა.

მე მეცოდვებიან თელი.

თელი აკეთფხს, ჩვენც გავაკეთოთ.

კიდევ გლები ჯობია თელს.

ერთი მსგავსი მაგალითი დავადასტურეთ ქართლშიც:

ე ხემწიფი შვილი წავიდა, რა თელი მოარილა.

ენაში მიმდინარე მსგავსი პროცესი აქვს დადასტურებული დ. ჩხუბიანი-შვილს ფერეიდნულ დიალექტში. მას შენიშნული აქვს, რომ „ფერეიდნულ მეტყველებაში“ **ყველა, ყველანი** არ გამოიყენება, იშვიათია **სუყველა || სუყელა**, მაგრამ ჩვეულებრივია ამ ფორმათა შეკვეცილი სახეობა- **სუ (სუყელა)**, მრავლობითში **სუნი (სუყველანი)**, რომელნიც ფორმით ემთხვევა **სუ (სულ)** ზმნისართს:

ქართული სუმ იცის“ (დაშქეზანა).

იმის შვილებმა განდეს სუნივ ხანები.

სუნივენთ ნამა ასწავლონ...

განხილული მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ, ფაქტობრივად, დიალექტებში მოქმედებს ისეთივე პროცესი, როგორც ძველ ქართულში — რიცხვისა და სიმრავლის ხარისხობრივი განსაზღვრა და მოვლენის ან საგნის თვისების უმაღლესი ხარისხის გამოხატვისკენ სწრაფვა, რისი დასტურიცაა **თელის** გასუბსტანტივების პროცესი აჭარულში.

ბუნებრივია საკითხის დასმა, რატომ ჩაენაცვლა თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტში **ყოველს მთელი**?

სულხან-საბა ამ ტერმინების შემდეგ განმარტებს გვაძლევს:

„მრთელი — ესე არის შეუმუსრავი, გინა უნაკლებო, გინა უსენო.

სრული — განსრულებულსა ჰქვიან, უნაკლულსა.

ყოველი — სრულიად უკლებელი.

ყველა — ყოველივე.“

როგორც ვხედავთ, **მთელი** მატერიალურ, ფიზიკურ სიმრთელეს აღნიშნავდა, **ყოველი** — სისრულეს. ვფიქრობთ, **მთელი** ჩაენაცვლა **ყოველს** როგორც სასაუბრო ფორმა დამახასიათებელი გარკვეული სოციალური ფენისათვის, ე. წ. ჟარგონი, შემდეგ გაბატონდა სამეტყველო ლექსიკიდან სამწერლო ენაში.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ word-ის საძიებო სისტემამ საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ამ პროცესების დინამიკა. დაგვედგინა ყოვლისა და მთელის ჩანაცვლების მიახლოებითი პერიოდი (აღნ. მასალაზე დაყრდნობით) — XVIII საუკუნე (თეიმურაზ II შემოქმედება).

მთელის ძვ. მნიშვნელობა — „ჯანმრთელი“ — შემორჩენილია დიალექტებში, მათ შორის ფერეიდნულსა და ინგილოურში.

საბოლოოდ, დასკვნის სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ ენაში სიმრავლის ლექსიკური გამოხატვა განსხვავებული პროცესია და ამ ტიპის სახელები

სასურველია გაიმიჯნოს მორფოლოგიურად მიღებული კრებითის ფორმებისგან.

მთელი (ყოველი), ფაქტობრივად, საგნის ან მოვლენის თვისების ხარისხის გამომხატველია და ლექსიკურად გამომხატულ სიმრავლეს ან რიცხვის აღმნიშვნელ სახელებს განსაზღვრავს მათი უმაღლესი ხარისხის წარმოდგენით. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „რეალური სამყაროს როგორც ისტორიული, ისე ლოგიკური შეცნობის პროცესი ისე მიმდინარეობს, რომ ხარისხის შემეცნება წინ უსწრებს რიცხობრივი ურთიერთობების შემეცნებას, ამიტომაც მიისწრაფვის ენა თვლადიდან არათვლადი სიმრავლის შექმნისკენ“.

ლიტერატურა

სულხან-საბა ორბელიანი 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი, 1991.

სულხან-საბა ორბელიანი 1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი, 1993.

შანიძე 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1973.

ჩხუბიანიშვილი 2006 — დ. ჩხუბიანიშვილი, იმანენტური განვითარების ზოგიერთი გამოვლინება ფერეიდნულში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXIII, თბილისი, 2006.

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VII. თბილისი, 1985.

რეფორმატსკი 1987 — А. А. Реформатский, Число и грамматика, Москва, 1987.

ფორტუგანოვი 1956 — Ф. Ф. Фортунатов, Сравнительное языкознание II Избр. тр. т. I, Москва, 1956.

ლაგუტა 2000 — О. Н. Лагута, Логика и лингвистика, Новосибирск, 2000.

წყაროები

საჯარო ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებული ქართული ლიტერატურული ძეგლები;

ენათმეცნიერების ინსტიტუტის ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილებაში დაცული დიალექტოლოგიური ტექსტები.

LIA BAKURADZE

Towards some Questions of Expressing Multiplicity in Georgian

S u m m a r y

There are lexical and grammatical means of expressing multiplicity in Georgian. A root word is initial for collective nouns formed through affixation. Two main affixes *oba* and *nari* are distinguished in Georgian. Along them in Georgian there are means expressing multitude lexically: *nation, chorus, group*, etc.

The forms of multiplicity formed through affixation and expressed by the lexical means have different morphological and syntactical intensity, which makes us think that these two phenomena must not be discussed on the same level. The nouns denoting multitude formed through affixation are as if the repetition of a lexically already existing model in a language. They are collective nouns as they have the same root word from which they are formed and to what they relate.

As for the nouns: *crowd, team, tribe, flock* - have no opposed or a root word. They only express conception of multiplicity through lexical meaning.

Quantitative changes are accompanied by qualitative ones after some limit, thus, expressing the grammatical number or multiplicity is naturally followed by the qualitative definition of subjects and phenomena. A language can express the quality of multitude of countable and uncountable nouns.

In the modern Georgian language and its dialects the word *mṭeli*- 'the whole' is used as an expressing determinant of completeness of multiplicity, e.g. "*mṭeli jogi moreka*" - 'He has herded the whole flock', "*mṭeli ṭigni ṭakitxa*" - "He has read the whole book", "*mṭeli ṭixe zeimobda*" - "The whole prison was celebrating", "*mṭeli mindori aqvavda*" - "The whole field was blossomed".

This determinant fits well for the multitude nouns (*flock, nation, crowd*) as well as for the common nouns which we named conditionally the transitional class among the countable and uncountable nouns expressing quantity (*town, forest...*).

In the ancient Georgian language the word *ṭoveli* 'all' was used a determinant for expressing completeness of multiplicity.

The analogous process is evidenced in Georgian dialects where almost (except some exceptions) the word *mṭeli* is used as a determinant. In some Georgian dialects the word *mṭeli* is substantivized and changes countable nouns.

In Ajarian dialects the following forms are evidenced: *teli modian, emdeni dunia gaxden, telgan aseas*.

These discussed examples made us think that the same processes take place in dialects as in the Old Georgian language – the quantitative determination of number and multiplicity and the aspiration of expressing the high quality of the feature of phenomenon or a subject, which is confirmed by the substantivized processes of *teli* in Ajarian dialect.

Mteli (ṭoveli) in fact, represents the subject or phenomenon and denotes the lexically expressed multiplicity.